

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 00 77 95

N 267  
28/06/2017

267-07-3-201706281623



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარეს  
ბატონ გიორგი ხელაძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 28 ივნისს მოწვეულ იქნა საკრებულოს  
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი № 8-1 (ერთი ) ფურცელი

პატივისცემით,

ელგუჯა ჩხაიძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია "ლანჩხუთი-ევრო ატლანტიკური მომავლისთვის"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია  
„ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“  
სხდომის ოქმი №8

ქ.ლანჩხუთი

28.06.2017 წელი  
15:00 საათი

სხდომას ესწრებოდა ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე.

ფრაქციის წევრები: გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა.

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მიმდინარე წლის 23 ივნისს შემოსული შპს საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთი გურიას“ გენერალური დირექტორის თემურ მიქაძის წერილის განხილვა.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

2. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მიმდინარე წლის 23 ივნისს შემოსული შპს საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთი გურიას“ გენერალური დირექტორის თემურ მიქაძის წერილი ფრაქციის სხდომას გააცნო: ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 23 ივნისს საკრებულოში შემოვიდა თემურ მიქაძის წერილი, რომელიც აღნიშნავს, რომ შპს საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთი გურიას“, როგორც კერძო კომპანიას გააჩნია დაინტერესება თავისი წვლილი შეიტანოს ფეხბურთის განვითარების საქმეში და გამოთქვამს სურვილს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დაფუძნებული ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ნაცვლად, რომელიც პროფესიონალური ლიგის მეორე მე-8-ე ადგილს იკავებს იასპარეზოს შპს საფეხბურთო კლუბმა „ლანჩხუთი გურია“-მ. შპს თავის მხრივ იზრუნებს ლანჩხუთის რეგიონში ფეხბურთის წინსვლაზე, ახალგაზრდობის დაინტერესებაზე, ფეხბურთის პოპულარიზაციაზე, საფეხბურთო შედეგების გაუმჯობესებაზე და სწორედ აღნიშნული საკითხების აქტუალურობაზე იქნება კომპანიის ფინანსების ხარჯვა ორიენტირებული.


ფრაქციის წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთი გურია“ შპს საფეხბურთო კლუბმა „ლანჩხუთის გურია“-მ ჩაანაცვლოს, ვინაიდან ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ვერ ახერხებს გუნდის წინსვლას.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთი გურიას“ ნაცვლად იასპარეზოს შპს საფეხბურთო კლუბმა „ლანჩხუთის გურია“-მ.

პატივისცემით,

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი  
ევროატლანტიკური მომავლისათვის“  
თავმჯდომარე:



ელგუჯა ჩხაიძე